სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 დღ „ც. ფ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე — 5 კ.
Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

## დრამატიული საზოგადოების კრების გადაწყვეტილება

დანიშნულია დღეს, ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

გამოვიდა და იყიდება
დ. მორდოვცევის ისტორ. რომანი აფხაზეთის ცხოვრებიდან
## ამირანის შვილნი
თარგმნილი თ. სახოკიას-მიერ
ფასი 1 მანათი. (10—2)



მალე აქედან გამგზავრების გამო
იაფად იყიდება მოლაპარაკე თუთიყუშები
იქვე ყიდულობენ
კავკასიის ნადირებს ცხოველად:
ირმებს, ჯეირანებს, შურთხებს, ჯიხვებს, გარეულ თხებს და სხვა გარეულ ცხოველთა.
მსურველნი მიჰმართავენ: მიხეილის ქუჩა, № 106, ბარამოვის სახლებში.
(12—5) ჰუგო ვინკლერი




ღვინის სარდაფი
## „იყალთო“
თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა
გოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლი, სასტ. „როსსიას“ ქვეშ, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი
## „იყალთო“
ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**
Князей Г. и Л. Макаевыхъ
под фирмой
## „ИКАЛТО“
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Антонова, подъ гост. «Россія» (75—18)

## კბილის ექიმი
ალექსანდრე სოლოლაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე
მიხეილის ქუჩა № 32
(30—12)

## ექიმი თუმანოვი
ღებულობს ავადმყოფებს ქალების სატკივრით ყოველ-დღე 1—2 საათამდე.
მადერის ქ. № 6, სახ. ვარლამოვისა
**Д-ръ Тумановъ**
Куки, Мадеровская ул. № 6.

## ეგზამენები
ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის პირველ კლასში შემოსასვლელი დაიწყება 23 სექტემბერს და გათავდება 25-ს. (5—2)

## ვექილი
## ი. ი. ზურაბოვი
გადავიდა სუდები ქუჩაზე, სახ. № 15. (10—5)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
## ბენკლევსკი
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.
Докторъ медицины и хирургъ
**БЕНКЛЕВСКІЙ**
Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტია საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო, კოლეჟსკი სოვეტნიკობა—უეზდის ოლქის უმცროს მკურნალს მანსვეტაშვილს.

გადაყვანილ იქმნენ: ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ზედამხედველი, კოლეჟსკი სეკრეტარი ნაცვლიშვილი—კავკასიის სამხედრო ოლქის საინტენდანტო გამგეობის მოხელედ; სიღნაღის სამაზრო ხაზინის ბუღალტერი კონსტანტინე მაღალაშვილი—იმავე თანამდებობაზე შულავერის სამაზრო ხაზინაში.

გამწესებულ იქმნა იოსებ სალუქვაძე—ერევნის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

დანიშნულ იქმნა ტფილისის სახაზინო პალატის სტოლის უფროსის თანაშემწე კონსტანტინე კუხიანიძე—იმავე პალატის ბუღალტერის თანაშემწედ.

## † არქიმანდრიტი ევსევი (ცაბაძე).

ბევრს ქართველთაგანს იქნებ ამ პატივცემულის განსვენებულის არქიმანდრიტის ევსევის (ცაბაძის) სახელი არც კი გაეგონოს. ამის მიზეზები იფარება იმაში, რომ მ. ევსევი იყო წყნარი კაცი და გარდა ამისა მთელი თავის საუკეთესო დრო სპარსეთში გაატარა, რუსეთის ელჩთან.

იგი იყო ერთი წარჩინებული ქართველ არქიმანდრიტთაგანი, განვითარებული, მცოდნე აღმოსავლეთის ენებისა და ნამეტურ სპარსულისა, მასთანვე მცოდნე ქართულის საეკლესიო და საერო

ისტორიისა და მწიგნობრობისა; იგი ყველა ქართულ საზოგადო საქმეთა მიმდინარეობასაც ყურადღებით ადევნებდა, ქართველთ ნაკლებულებაზე გული დიდად შესტკიოდა. მოვიყვან მცირე რამ ცნობებს, რაც კი რამ ვიცი მე დიდად პატივსაცემ ქართველ არქიმანდრიტის ცხოვრებიდან.

ერთ დღეს, წერა-კითხვის საზოგადოების სამმართველოში გიახლათ განსვენებული. ამ დროს აქვე ბრძანდებოდა პატივცემული ი. ს. გოგებაშვილი. განსვენებულს არქიმანდრიტს ძრიელ ესიამოვნა ი. გოგებაშვილის ნახვა. მცირე საუბრის შემდეგ მან საზოგადოების მდივანს გარდასცა 100 მ. სამუდამო საწევრო ფული და ბ. ი. გოგებაშვილს თავაზიანად მოახსენა შემდეგი:

— ჩემი სამშობლო ქვეყანა, ქართველი ერი და მისი საქმეები მე ჩემს გულში წმინდა ტრაპეზად მაქვს მიღებული, ამ ტრაპეზს მე ისე ვცემ პატივს და ვადიდებ, რომ ეს წვლილი შემომაქვს ჩემის მხრით მის წინ საკმევლის დასაკმევად. ეს მცირეა, მაგრამ არა უშავს რა, მე ჩემის მხრით ყოველთვის მზად ვიქმნები, რომ ჩვენს საქმეებს არსად ვუღალატო, შეძლებისა დაგვარად ვემსახურო“.

სპარსეთში ყოფნის დროს განსვენებულს ცალი ხელი საქართველოს საქმეებისკენ ჰქონდა გამოწვდილი. ერთხელ ცნობები ამის ქველ-მოქმედების შესახებ ქართულ გაზეთებშიაც იქმნა გამოცხადებული.

სპარსეთში ყოფნის დროს, იგი დაუახლოვდა მცხოვრებ ღარიბ ქართველთ, რომელნიც მეჩვიდმეტე საუკუნიდან იქ სახლობენ, ეს ბედ-შავნი კართველნი შაჰთა მაზის და შაჰ-აბაზისაგან იქმნენ გარდასახლებულნი. განსვენებულის დაახლოვება სპარსელ ქართველებთან მოხდა 1876 წელს.

განსვენებულის მოქმედების შესახებ, 1877 წ. სომხურს სასულიერო ჟურნალ „არარატის“ წიგნებში სპარსეთის სომეხთა კორესპონდენტი სწერს შემდეგს: — „ამ დღეებში ჩვენდა საოცრათ აქ, ქ. თეირანში ვნახეთ ქართულს ენაზე მოლაპარაკე ქართველნი, რომელნიც, სპარსთა ჯარის კაცებში ერივნენ, იგინიც ჯარის კაცებივე იყვნენ, როგორც ქართული ენის მცოდნე, ძრიელ გავკვირდი, მაშინათვე მიველ ჯარი კაცებთან და ქართულად დაველაპარაკე.

ჩემი ხმის გაცემა მათ ძრიელ გაეხარდათ, ჩვენ ერთმანერთი გავიცანით, იგინი გათათრებული ქართველები აღმოჩნდნენ. მათ მთხოვეს მე, თუ აქ, თეირანში ვინმე ქართველი სცხოვრობს გაჩვენეთ, რომ ქართულად ველაპარაკოთო. მე დავფიქრდი და დიდად შევწუხდი, რომ აქ, თეირანში, მთელს სპარსეთში, რუსეთის კარის ერთის არქიმანდრიტის მეტი სხვა არავინ იყო.

მე მალე წაველ არქიმანდრიტთან და ეს გათათრებული ქართველებიც თან წავიყვანე, მაგრამ ზაფხულის სიცხეების გამო არქიმანდრიტი იქავე თეირანის ახლოს მდებარე ერთს სოფელში წასულიყო, მე მაშინათვე კაცი გავუგზავნე სოფელში და ყოველივე შევუთვალე. არქიმანდრიტი სასწრაფოდ ჩამობრძანდა თეირანში და ნახა ქართველები, არქიმანდრიტის სიხარულს კაცი ვერ ასწერს, მათ ქართულად დაიწყეს ლაპარაკი, ლაპარაკის დროს „დიდი სიხარულის სამთელი აინთო მათ შორის“.

განვლო მას შემდეგ დრო-ჟამმან, ამავე ქართველებზე სამი წერილი „მშაკსა“ და „ნორ-დარში“-აც დაიბეჭდა, მცირე ხნის შემდეგ განსვენებულიც დროებით ტფილისში ჩამობრძანდა. ჩემსას გიახლათ, წიგნები უნდოდა, მე გავიცანი იგი და საუბარი გავმართეთ: მე დავეკითხე, 1877 წ. „არარატში“ დაბეჭდილი წერილის შესახებ, მან ყველაფერი დაამოწმა და თავის მხრით დაუმატა შემდეგი:

ჩემის გაცნობის მცირე ხნის შემდეგ, თეირანიდან მე დამპატიჟა ერთს მხარეში სომეხთა კარაპეტ ეპისკოპოსმა. მე ვიახელ მას, ამ შემთხვევით ვისარგებლე და იმ სოფლებშიაც გადაველი, სადაც ქართველები სცხოვრობდნენ. ქართველებმა დიდის სიამოვნებით მიმიღეს, მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, დიდად გამიმასპინძლდნენ, მოხუცნი ჩემგან კურთხევას იღებდენ, იქიდან აღარ მიშვებდნენ, სოფლებში გაავრცელეს ისეთი ხმა, რომ ვითომც მე იქ სპარსეთის მთავრობის ბრძანებით ვიყავ გაგზავნილი ქართველების მღვდლად. რამდენიმე დღის შემდეგ მე მათ გამოვესალმე, იგინი დიდათ შესწუხდნენ ჩემის მოშორებით და მეც ბევრი ვიმწუხრე, ბევრი მწარე ცრემლები დავღვარე.

რამდენიმე ხნის შემდეგ ზოგიერთი ქართველნი ჩემსას მოვიდნენ. ჩვენ ლაპარაკი დავიწყეთ საქართველოს და ქართველების შესახებ. სალე მე ვკითხე მათ:

— თქვენი გადასახლება რომ შეძლებოდეს, საქართველოში არ გადასახლდებით?

— რატომ არა, დიდის სიამოვნებით, თუ-კი ვინმე ამ წყალობას მოგვიხერხებს. მითხრეს იმათ. მე გული ამიდუღდა.

ბევრის ლაპარაკის და მასპინძლობის შემდეგ იგინი წავიდნენ თავიანთსას და წაიღეს გადმოსახლების ცნობები. მე ეს ამბავი დაწვრილებით ვუამბე რუსეთის ელჩს. მან გადმომცა, რომ თუ საქართველოში გადმოსახლები სურვილი აქვთო, დასწერონ საერთო თხოვნა, ეს თხოვნა მე მომიტანონ და მერმე ამ თხოვნის ძალით დავიწყებ შუამდგომლობას, რომ იგინი საქართველოში იქმნენ დაბრუნებულნიო.

მცირე ხნის შემდეგ ხსენებული ქართველნი ჩამოვიდნენ ჩემსას, მათ სხვებიც მოჰყვნენ თან. დავიწყეთ ლაპარაკი და მალე საქართველოში გადასახლებაზე გადავედით. მე მათ ვუამბე ელჩის რჩევა. მათ ტირილი მოუვიდათ. მერე პასუხი ვკითხე; მათ გადმომცეს დიდის მწუხარებით შემდეგი:

— ჩვენ ამას ვერ ვიზამთ. ასეთი თხოვნის ამბავს გაიგებენ თუ არა, სპარსნი მაშინათვე შაჰის ბრძანებით თავებს დაგვჭრიან. ეს ძნელია ჩვენთვის, დიდათ გვეშინისო.

მეც დიდათ შევწუხდი. შემდეგ კიდევ გვქონდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ელჩი უსაფუძვლოდ საქმის დაწყებას არ შერებოდა და ბედშავ ქართველებს კიდევ საერთო თხოვნის დაწერა ვერ გავაბედვინე ასე განვშორდით ერთმანეთს გულხელ დაკრეფილნი“.

განსვენებულისაგან წარმოგზავნილი ცნობები სპარსელ ქართველთა შესახებ ერთ დროს ქართულ გაზეთებშიაც დაიბეჭდა. მე მგონი ეს ცნობები საკმარისად გააცნობს მკითხველს განსვენებულის მაღალ თვისებებს. უნდა ითქვას, რომ განსვენებული იყო მალამო დაწყლულებულთა, სანთელი უსინათლოთა და წრფელი, პატიოსანი მამულიშვილი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო ღირსო მამაო!

ზ. ჭ.

# ახალი ამბავი

*** დრ. საზოგადოების კრების გაგრძელება დანიშნულია დღეს, საღამოს შვიდ საათზედ, სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა მოისმინოს სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა საქმეები და მოსაზრებანი დამდეგს სეზონში დასის შენახვაზე.

*** ჩვენი დაუდევრობა. საერთოდ ქართველები დაუდევარ ხალხად ვართ ცნობილი, როგორც მტრისაგან ისე მოკეთისაგან. ამ შემთხვევაში მტერი და მოკეთე არც მოსატანია, რადგან ჩვენ თითონაც ვუგრძნობთ ამასვე. მაგალითებს გულგრილობისა და დაუდევრობისას ხომ ყოველ ნაბიჯზე შეხვდება კაცი და სწორედ იქ გეჩხირება თვალში ამისთანა მაგალითები, საცა არ მოელი, საცა წარმოუდგენელია. მიბძანდით მცხეთას, დაათვალიერეთ, ჩვენი დიდების — სვეტი-ცხოვლის კარებები, კედლები და თქვენ თითონ დარწმუნდებით, რომ ეს ჩვენი ნათქვამი მართალია და არა ჭორი, დიაღ, იქ ნახავთ არა მარტო დაუდევრობის მაგალითს, არამედ იმასაც რომ ჩვენ დავკარგეთ პატივისცემა სიყვარული თავის-თავისა, ძვირფასი ისტორიული ანდერძისა. სხვამ რომ არა სცეს პატივი ჩვენს ძვირფას ისტორიულს განძს, ჩვენს წმიდაწმიდათას ეს კიდევ არ უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ ის მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სიწმინდე, ეს განძი არავის შევაბღალვინოთ. მე შემთხვევით დავათვალიერე ეს ტაძარი და ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მის კარებზე და კედლის ქვებზე ნახშირით ნაწერს შევხვდი: К. Зингеръ, Киракозовъ, Дюрпирузовъ და ამისთანა რაღაცები, შიგვე გალავანში ეკკლესიის მოსამსახურე პირნი სცხოვრობენ, თუ იმათ არ შეუძლიანთ დრო იხელთონ და ბოროტ-მომქმედნი შეაყენონ, ის ხომ შეუძლიანთ, რომ ჭუჭყი მოსწმინდონ და მოაშორონ.

მგზავრი

*** საინტერესო მოხსენება. დღეს საექიმო საკრებულოში ექიმი ბ-ნი თუმანიშვილი წაიკითხავს ფრიად საინტერესო მოხსენებას.

*** ქართველი მოქანდაკე. წელს პეტერბურგის სამხატვრო კლასში ქანდაკების ნაწილზე სწავლა დაამთავრა თავ. ალ. თარხნიშვილმა. ჩვენის ახალგაზდა მოქანდაკის ნამუშავარს უკვე იცნობს ჩვენი საზოგადოება: მისაგან გაკეთებული ქანდაკებანი შოთა რუსთველისა, წმ. ნინოსი, თ. ილია ჭავჭავაძისა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაშიაც იყიდება. თ. თარხნიშვილი ამ ორის თთვის უკან იტალიაში მიემგზავრება, სადაც დარჩება რამდენსამე წელიწადს, რომ იქაურს გამოჩენილ მოქანდაკეებთან იმუშაოს.

*** სახელმწიფო ბანკის მმართველს ბ. ალესკეს ამ დღეებში მოელიან ტფილისში.

*** დუმბაძის საქმე. ყვარელის მასწავლებლად ნამყოფის დუმბაძის საქმე, დანიშნულია განსახილველად ტფილისის სამოსამართლო პალატაში 31 ოქტომბერს. ის ხმა, ვითომ ამ საქმის დასაცველად ბ. პლევაკო იყოს მოწვეულიო, სიმართლეს მოკლებულია.

*** დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დახვედრა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: მისი იმპერა-

ტორებითი უმაღლესობის მიხეილ ნიკოლოზის ძის მობრძანების დღეს 17 სექტემბერს, ხუთშაბათს, შეკრულ იქმნეს ბულვარის ქუჩაზე მწვანედ მორთული კამარა, ხოლო იმ გზაზე, რომლებზედაც მისი უმაღლესობა გაივლის, სახლები მორთულ იქმნეს ეროვნულ დროშებით. შემდეგ მეორე კამარა შეიკვრება ბარიატინსკის ქუჩის კუთხეში, გოლოვინის პროსპექტის მისახვევთან. გარდა ამისა, მოირთვება ბაირაღებით და ფოთლებით კუკიისა და ვერის ხიდები, ხოლო საღამოთი შენობები ბ. მთავარმართებლის სასახლის წინ და ქალაქის სახლი გაჩირაღდნებული იქნება.

*** **მეშჩანთა დეპუტატების არჩევანი.** 13 სექტემბერს საბჭოს სხდომების დარბაზში მეშჩანთა მამასახლისის თანამდ. აღმასრულებლის ბ. ედიგაროვის თავმჯდომარეობით და გუბერნატორის საგანგებო მინდობილებათა უფროსი მოხელის ა. ა. ბებუთოვის თანადასწრებით მოხდა მეშჩანთა დეპუტატების დამატებითი არჩევნები. კრებაზე გამოცხადდა 62 ამომრჩეველი. სხდომის გახსნის შემდეგ თავმჯდომარემ დააყენა კენჭის საყრელად კითხვა: საკმარისად სცნობს თუ არა საზოგადოება მეშჩანთა 67 დეპუტატის ასარჩევად გამოცხადებულს რიცხვსაო. საზოგადოებამ ეს მოსახერხებლად სცნო და ამის შემდეგ ის ამომრჩევლები, რომლებიც არ დასწრებიან წინა არჩევნებს, დააფიცეს. იმ კანონის წაკითხვის შემდეგ, რომელიც შეეხება არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების არა მქონეთ, შეუდგნენ კანდიდატების სიის შედგენას. ბარათებით წარდგენილ იქმნა 114 კაცი, მათ შორის კენჭი უყარეს 53 კაცს; დახურულ კენჭის-ყრით ამორჩეულ იქმნა 40 კაცი.

*** **საკომერციო სკოლის საქმე.** 20 სექტემბერს მოხდება ტფილისის ვაჭრების კრება ტფილისში საკომერციო სკოლის დაარსების შესახებ.

*** **ს. ვაქირი** (ქიზიყი). **საქართველოს ექსარხოსის ჩამობრძანება.** მათი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე 10 ენკენისთვეს ესტუმრა სოფელ ვაქირს. მათს მეუფებას მრავალი ცხენოსანი ხალხი მოჰყვა თან ქვემო ქიზიყიდან. თანვე ახლდნენ მღვდელი თოთიბაძე, ადგილობრივი ბლაღოჩინი ბეგიაშვილი და ქიზიყის სხვა მღვდლები; წინ მიუძღოდათ სიღნაღის მაზრის უფროსი. მათმა მაღალ-უსამღვდელოესობამ ინება მარტო იოანე ნათლის-მცემლის ეკკლესიის დათვალიერება. ეს ეკკლესია ერთი უძველესი და უდიდესი ეკკლესიაა მთელს მაზრაში. თვისის სივრცით წმ. ნინოს და ხირსის წმ. სტეფანეს მონასტრებზედაც დიდია. ეკკლესია ძველს ბიზანტიურს გემოვნებაზე არის ნაშენები, სამხრეებით და რამდენიმე სამწირველოთი. დღეს თუმცა ამ ეკკლესიაში ძველი მხატვრობა აღარ არის დროთა ვითარების გამო, მაგრამ ამისი კანკელი კიდევ მაზრის სხვა ეკკლესიებზე უკეთესია. ერთი შესანიშნავი უძველესი ხატი დაუდევრობისა გამო ამ რამდენიმე წლის წინად შეუნდობელ ცეცხლის მსხვერპლი შეიქმნა. ამ ეკკლესიაში ორი მღვდელია, ერთი მთავარი და სამი მეფსალმუნე. მთელს ქიზიყში მარტო ამ ეკკლესიას შერჩენია დღევანდლამდის სამი ძველი კარბელაანთ კილოს მცოდნე მგალობელნი. თუმცა მგალობელნი ყმაწვილნი აღარ არიან და ისე ტკბილად ველარ გალობენ, როგორც უწინ, ყმაწვილობაში, მაგრამ მაინც სასიამოვნოა მათი მწყობრი გალობა. მათს მეუფებას საქართველოს ეგზარხოსს მოეწონა ქართული გალობა. მათი უმოწყალესი ყურადღება მიიქცია თვით ეკკლესიის შენობამ და ძველმა ოდისკმა (ანტინმისმა), რომელიც ანტონ კათალიკოსის დროინდელი ყოფილა.

კმაყოფილი დარჩა მათი მეუფება კრებულის დახვედრითაც და ნასიამოვნებიც ბრუნდებოდა, რომ ერთს არა სასიამოვნო გარემოებას არ აეღელვებინა მათი მშვიდი არსება: ეკკლესიიდან რომ ბრუნდებოდნენ, მათს მეუფებას მთელმა ერთმა სამრევლომ სთხოვა მღვდელი გამოგვიცვალეთო. ამ სამრევლოს თხოვნაცა ჰქონია გაგზავნილი მღვ. ი. ტ—შვილზე და ეხლაც პირათ სთხოვეს მოგვაშორეთო, ეხლავე სხვა მღვდელი დაგვინიშნეთ, რადგან ჩვენ იმ ბოროტ-მოქმედების შემდეგ, რაც მან ჩაიდინა, აღარ შეგვიძლიან ვიმღვდლოთო. მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ მაშინათვე ბლაღოჩინს დაავალა — შენი აზრი მაცნობე ამაზეო და ხალხსაც უბრძანა საჩივარს განვიხილავ და თუ საბუთიანი აღმოჩნდება, თქვენს თხოვნას დავაკმაყოფილებო. იქვე-კი ებრძანებინა უეჭველად საჭიროა სხვაგან იქმნას გადაყვანილი მამა ტ—შვილიო. საზოგადოთ ქიზიყში ძალიან გახშირდა ღვდლებზე საჩივარი და ყველგან საჩივარი ზნეობრივ მხარეს შეეხება.

ვაქირიდან მათი მეუფება პირდაპირ ანაგის სამრევლო სკოლაში მიბრძანდა. ამ სამრევლო სკოლაში კარგა ხანი დარჩა მათი მეუფება და ყველაფერი დაათვალიერა. სკოლაში ყმაწვილებმა იგალობეს „მეუფეო“ და „ისპოლაეტი დესპოტა“. შემდეგ დაიწყო შაგირდების გამოცდა, მომეტებულ ნაწილად საღმრთო სჯულიდან და რუსულ ენიდან სცდიდნენ ყმაწვილებს. თუმცა ეს სკოლა ამ წლის გაზაფხულზე დაარსდა, მაგრამ ემჩნევა, რომ მის მასწავლებელს ქ-ნ ქეთევან ზარაფიშვილისას თავისი შრომა და ენერგია არ დაუზოგნია სკოლის წარმატებისათვის. მოკლე ხანში ძალიან ბევრი მოუსწრია და რიგიანათ მიუხვედრებია ყმაწვილები. უნდა შევნიშნოთ, დიდი სიყვარული და პატივი დაუმსახურებია ქ-ნ ზარაფიშვილისას მთელს სოფელში სულ მოკლე ხნის განმავლობაში და თუ მეუფროსეთ არ აუცრუეს გული თავიანთი უყურადღებობით ამ გულწრფელ მუშაკს, იგი ყველა გლეხის გულს მოინადირებს და ბევრს შეაყვარებს სწავლას. ეხლავე თურმე რამდენსამე შვილებით სავსე დიასახლისს მიუმართავს თხოვნით ჩვენც გვასწავლეო. მათი მეუფება კმაყოფილი დარჩა მოსწავლეებით და მადლობა გამოუცხადა ქ-ნ ზარაფიშვილისას გულ-მოდგინე სწავლებისათვის და მღვდელს დეკანოზიშვილსაც მეცადინეობისათვის უსასყიდლოთ. სკოლიდან მათი მეუფება წაბრძანდა ს. კარდანახში.

ვინმე შინაური

*** **დ. სურამი. გაძარცვა.** 8 ენკენისთვეს, საღამოს 7 საათზედ, ოძისში მცხოვრები აზნ. დავით ზაალის ძე აბაზაძე და სიძე მისი მიხეილ სემიჩი სურამის მახლობლად დახვდნენ სურამელ არუთინ ტიჟუევს, ივანე საძაგლიშვილს, აბგარ ბალდინოვს, მიხეილ ნოზაძეს და ზაქარია ბაინდუროვს. წაართვეს პირველ სამთ 15 მანათი და 60 კაპ., მეოთხეს, მ. ნოზაძეს, ფეხსაცმელები 31 წყვილი და ბაინდუროვს დაუჭრეს ცხენი. აბაზაძე და სემიჩი შეიპყრეს და დააპატიმრეს გორის ციხეში. გამოძიება სწარმოებს.

ზეუბნელი

*** **ქ. კავკავი. ქართველთა ეკკლესია.** აქ დაასრულეს ქართული ეკკლესიის აგება და საცაა აკურთხებენ კიდეც. ეს ეკკლესია აშენებულია კოხტად და შნოიანად, რომლის აშენებაზე დიდი მოღვაწეობა გასწია, სხვათა შორის, ბ. ი. შვილევმა. აგრეთვე დიდი შრომა მიუძღვის კომიტეტის წევრებს, რომელთაც თავიანთი ღვაწლით საშვილის-შვილო საღმრთო საქმე სისრულეში მოიყვანეს. არ დაზოგა აქაურმა ქართველობამ არც ფული, არც მასალა ეკკლესიის ასაშენებლად, არც ზოგიერთმა თვისი ხელობა. ეხლა ყოველი ქართველი შესძლებს თავის ენაზე წირვა-ლოცვის მოსმენას, აღივსება სასოებით და ღვთის მადლით.

პავლე მოსულიშვილი

*** **ს. ზემო-ჭალა** (ქართლი) **ცრუ-მორწმუნოების მსხვერპლი.** ამ სოფელში ეს ერთი კვირა იქნება, რაც ერთს მეტად სამწუხარო სურათს ვუყურებთ. ერთმა აქაურმა ქალმა, გიორგი ობოლაძისამ თავისი დედის სახლში მოიმშობიარა; ლოგინიდგან ადგომის დროს ჰკუიდგან შეიშალა. მას დღეს აქეთ ახვევიან სოფლის მკითხავ-მატყუარა გამომლოცავი ექიმები. ულოცავენ დღეში რამდენჯერმე და ასხამენ პირში სხვა და სხვა გამოლოცვილს წამლებს. რადგან ამ წამლებმა ვერაფერი გავლენა იქონია და ავადმყოფს სატკივარი უფრო გაუძნელდა, ექიმმა სხვა საშუალება იხმარა: მოსჭრა თმა ავადმყოფს, მოუკიდა ცეცხლი და ჩასჩარა ცხვირში, რომლითაც ცხვირი დასწო და იარად გაუხდა; მერე გახურებული შამფურით ტიტველა ტანი და ორივე ლოყები დაუშუშხა, ანუ უკეთ ვსთქვათ დაუდაღა, (რომელმაც ისედაც წვალებულ საბრალოს მწუხარება გაუორკეცა) და თან უყვიროდა: „თქვი შე კუდიანო ტარტაროზო! რა გაშფოთებს, მუცელში რა გიზისო?! გამოდი ეშმაკო მაგისაგანაო“ და სხვ.

ამ ქალის ქმარი გუშინ აქედან ქ. ტფილისში წავიდა, რადგან იქ ძალიან კარგი მკითხავი უქეს. ვნახოთ რა უებარს წამალს გამოატანს.

ჭალის საზოგადოება საკმაოდ მოზდილია, მაგრამ სჩანს ჯერაც არივინ მოიპოვება ისეთი კეთილი და გავლენიანი პირი, რომ ჩააგონოს ამ საცოდავებს, თუ რიგიანად მოვლა შეუძლებელია, ამისთანა სატანჯველს რაღას ემართლებიან საბრალო ავადმყოფს.

ნეტა როდის მოესწრება ეს სულით ღარიბი ხალხი იმისთანა ბედნიერებას, რომ ან ღვთისა და ან კაცის განკარგულებით აილაგმონ ეს აუარებელი მკითხავ-მატყუარა ექიმები, რომელთაც არა ერთხელ და ორჯერ გამოუსალმებიათ ადამიანი უდროვოდ წუთისოფლისათვის, მაგრამ ვინ არის პატრონი.

იოსებ მირზაშვილი

## სამეცნიერო ცნობა

### მასალა ქართული ბოტანიკისთვის *)

(ვუძღვნი მოსკოვის ქართველ სტუდენტებს)

თესლი (СѢМЯ)

თესლი, როგორც ზევით ვსთქვით, მოთავსებულია ნაყოფში; თესლი ჩნდე-

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 629.

ბა თესლკვირტიდან, რომელიც დამწიფების შემდეგ თესლათ იქცევა.

ეხლა გავსინჯოთ, რისაგან შესდგება თესლი.

ავიღოთ ლობიოს თესლი, დავალბოთ წყალში რამდენიმე საათი; შემდეგ ასეთ თესლს ადვილათ სძვრება ზედა კანი; გადავაძროთ ეს კანი (кожура) თესლს; ჩვენ ამის შემდეგ თესლს ადვილად გავყოფთ ორ ნაწილად; თითო ასეთ ნაწილს ვუწოდებთ თესლბიბილოს (сѣмядоля); თესლბიბილოების შორის ადვილათ დავინახავთ პატარა მცენარეს, რომელსაც ერთმხრივ აქვს პატარა ფოთლუკები და მეორე მხრივ პატარა ფესვუკა. თესლი ზენიადაგში (почва) ჯერ ფუვდება, შემდეგ იძლევა ფესვუკას, რომელიც ხვრეტს კანს და გარეთ გამოდის; ჯერ როცა ფესვუკა ცოტად მოიდგამს ძირს, შემდეგ ფოთლუკები ზევით ჭაერისკენ მიიმართებიან და ზედ ზენიადაგზე ამოდიან თესლბიბილოებთან ერთად; სანამ ნორჩი მცენარე კარგად მოიდგამს ძირს და შესძლებს მიწიდან საზრდოების აღებას, სანამ იგი იკვებება თესლბიბილოებით, მაშასადამე, თესლბიბილოებში ნორჩ მცენარეს ჰქონია საზრდოება თესლბიბილოები და თვით ნორჩი მცენარე, სანამ იგი თესლშია, ერთად შეადგენენ შთანასახს (зародышъ). იმ მცენარეებს, რომლებსაც თესლი ორ თესლბიბილოვანი აქვთ, უწოდებენ ორ თესლბიბილოვან მცენარეებს.

ხორბლის მარცვალი (пшеничное зерно) შეიცავს ერთ თესლს, რომელიც მოთავსებულია მარცვლის ერთ ბოლოში; მარცვლის დანარჩენი ადგილი უჭირავს ცილოვან ნივთიერებას. ხორბლის მარცვალს ადვილად ეტყობა ღარი; ღარის პირდაპირ, მარცვლის ბოლოზე ცოტათი ეტყობა ჩადრეკილი ადგილი; აი სწორედ აქ სძევს თვით მთანასახი, რომელიც შესდგება პატარა ფარუკასაგან, ფესვუკადან და ღერუკადან; ფარუკა შეადგენს ერთად-ერთ თესლბიბილოს. თვით უმთავრესი ფესვუკა არ იზრდება; მის მაგიერ თესლიდან გამოდიან რამდენიმე პატარა არა უმთავრესი ფესვუკები; თესლი აქ, ხორბლის (пшеница) მარცვალში, ისე შეერთებულია თვით ნაყოფთან, რომ შეიძლება მხოლოდ შეიარაღებული (вооруженный) თვალით ვნახოთ. ხორბლის „მარცვალა“ (зерновка), როგორც ნაყოფი, შეიცავს თესლს.

ერთი სიტყვით ყოველ თესლში ჩვენ ვამჩნევთ შთანასახს, რომელიც შემდეგ იზრდება და გვაძლევს ნორჩ მცენარეს.

არიან ისეთი თესლები (მაგ. ლობიოსი), რომელნიც შესდგებიან მარტო შთანასახიდან და კანიდან; არიან ისეთი თესლები, რომელნიც, გარდა ზემოხსენებული ნაწილებისა, შეიცავენ ცილოვან ნივთიერებას როგორც, მაგალითად, ხორბლის მარცვალა და ამიტომ ყველა თესლებს ორ დიდ ნაწილად ჰყოფენ: ცილოვანი და უცილო (бѣлковыя и безбѣлковыя) იმ თესლებს, რომელთაც ცილოვანი ნივთიერები აქვთ, საკვებავი ანუ ნაყრი ამ ცილოვან ნივთიერებაში აქვთ მოქცეული. აი ამ ცილოვანის ნივთიერებით იკვებება შთანასახი ვიდრე მისი ფესვები მიწაში გაიდგავენ და მოიკიდებენ ფეხს; უცილოვან თესლებს ეს საკვებავი ნივთიერებანი მოქცეული აქვს თესლბიბილოებში.

მ. ხაალიშვილი

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 სექტემბერი

**პარიზი.** დეპუტატის პომიეს ცოლი წავიდა „Lauterne“-ს რედაქციის კანტორაში და იკითხა მილიერანი, რომელიც რედაქციაში არ აღმოჩნდა. ქ-ნმა პომიემ მაშინ რევოლვერი ესროლა რედაქტორს ოლივიეს და მუცელში დასჭრა. ქ-ნი პომიე შეიპყრეს; მან განაცხადა, მილიერანის მოკვლა მინდოდა, იმ წერილის გამო, რომელიც დილით მოთავსებული იყო „Lanterne“-ში და რომელიც შეურაცხყოფდა ჩემ ქმარს, ამ უკანასკნელის მიერ შანუანთან მიწერილ წერილის გამო, რომლითაც ჩემი ქმარი მოითხოვდა მოისპოს ჯარის ცუდად ხსენება, რაც დრეიფუსის საქმემ გამოიწვიაო.

**ბერნი.** საერო საბჭომ დაადგინა გადაასახლოს 36 ანარქისტი და მიიღო შემდეგი დადგენილებანი: 1) საერო კავშირის პროკურორს მიენდობა წინადადების წარმოდგენა შვეიცარიაში მცხოვრებ სხვა უცხოელთა გადასახლების შესახებ, რომელნიც ანარქისტულ აზრებს ავრცელებენ ან საშიშ ანარქისტებს ემხრობიან; 2) კანტონებს წინადადება ეძლევათ დაუყონებლივ განუცხადონ კავშირის პროკურორის პირველ პუნქტში მოხსენებულ უცხოელთა სახელები და წარუდგინონ მათ შესახებ მოხსენება, როგორც კი ისინი ფეხს შესდგამენ ამა თუ იმ კანტონში; 3) კანტონებს წინადადება ეძლევათ გულმოდგინედ ადევნონ თვალყური მათ არე-მარეში მცხოვრებ ანარქისტებს და დაუყონებლივ აცნობონ საერო საბჭოს მათი საზღვარზე გადასვლის ამბავი.

**ლონდონი.** „Pall Mall Gazette“ სწერს: „ბრიტანიის ელჩი შანჰაიში იუწყება, ჩინეთის იმპერატორი მოჰკლესო“. გარეშე საქმეთა სამინისტრო უცხადებს, ეს ამბავი ოფიციალური არ არის და მხოლოდ ქუჩაზე ყურ-მოკრულ ხმების გადმოცემააო.

**ლონდონი.** „სტანდარდ“-ს დეპეშით აუწყებენ ნიუ-იორკიდან: „ამერიკის ერთი საზოგადოების მინდობილობით მრავალი ინჟენერი მიდის ჩინეთში, იმ მიზნით, რომ ამ ქვეყანაში კარი გაუღონ ამერიკის მრეწველობას. საზოგადოებას აქვს მრავალი პროექტი, სხვათა შორის, ხანკოუ-კანტონ-კაულუნის რკინის გზის გაყვანა, რომელიც მთლად ამერიკის მფარველობის ქვეშ იქნება. საზოგადობამ შეიძინა უფლება იკისროს ბელგიის რკინის გზის ხელ-შეკრულების ასრულება, თუ მას ბელგიის სინდიკატი არ აასრულებს.

„ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ შან-ჰაიდან: „ადგილობრივმა ტაოტაიმ ბრძანება მიიღო შეიპყროს იმპერატორის უმთავრეს მრჩეველად ნამყოფი კან-იუმეი. აშკარაა, იმპერატრიცის პარტიამ საჭიროდ სცნო რეფორმატორის დათხოვნა. მას ალბად მაშინვე დასჯიან სიკვდილით, როგორც კი შეიპყრობენ. ჩინეთის მოხელეთ სჯერათ იმპერატორის სიკვდილი.

**რომი.** ყველა კაბინეტებმა მიიღეს იტალიის თაოსნობა ბრძოლის შესახებ ანარქისტების წინააღმდეგ, რის გამო მოკლე ხანში წარდგენილ იქმნება ფორმალური წინადადება საერთა შორისო კონფერენციაზე შეკრების შესახებ.

**პარიზი.** სასჯულო საქმეთა სათათბირო კომისია გაიყო ორ თანასწორ ნაწილად: სამი ხმა წინააღმდეგია, სამი კი მომხრეა დრეიფუსის საქმის პარლამენტში განხილვისა. მთავრობამ იმ მოსაზრებით, რომ ხმების თანასწორ ნაწილებად გაყოფა აძლევს მას მოქმედების სრულ თავისუფლებას განაჩენზე სრულ პასუხ-გებას, გადასდო გადასინჯვის საქმე ორშაბათამდე, რომ განიხილონ მთავრობის ყველა წარმომადგენლებმა. დეპეშები გაეგზავნა ფიჟესა და პეიტრალს, რომ ისინი ორშაბათისათვის დაბრუნდნენ სხდომაზე დასასწრებად.

**შან-ჰაი.** ხმა დადის, რომ ჩინეთის იმპერატორის მრჩეველად ნამყოფი კან-იუმეი, რომელიც პეკინიდან გაიქცა, დღეს უზუნში მოვიდა და წარდგენილ იქმნა იქ მდგომ ბრიტანიის გემში.

**ვეი-ხაი-ვეი.** ბრიტანიის სამხედრო გემი „ცენტურიონი“ უეცრად გავიდა დღეს ზღვაში დაბეჭდილი ბრძანების ქაღალდებით. ფიქრობენ, ის ამ ჟამად ტაკის გზაზეაო. მას შეუერთდება ჩიფუდან 6 სამხედრო გემი. საქმეთა ვითარება ძალიან დამაფიქრებელია.

14 სექტემბერი

**ლონდონი.** გაზ. „Observer“-მა გამოაქვეყნა შემდეგი ცნობები იმ პირის შესახებ, რომელთანაც ესტერგაზმა 10 დღე იცხოვრა ლონდონში. დასახელებული პირი გადმოგვცემს: ესტერგაზმა მაცნობა, ბორდერო მე დავწერეო, პოლკოვნიკის სანდგერის ბრძანებით და ანრის შეტყობით. თუმცა ორივე გარდაიცვალა, მაგრამ ამის დამტკიცება შეიძლება. ცნობათა ბიურო იძლევა დრეიფუსის წინააღმდეგ მხოლოდ ზნეობრივი ბრალდების საბუთებს. წერილი სიტყვებით: „canaille de D.“ მართლაც პოლკოვნიკის შვარცკოპენის დაწერილია, მაგრამ მოყვანილი სიტყვები შეეხება არა დრეიფუსს, არამედ დოლფუსს, რომელმაც დრეიფუსის საქმემდე რამდენისამე წლის წინად აცნობა გერმანეთის სამხედრო საელჩოს ნიცის მიდამოების გამაგრების გეგმები“. „პირბადიანი ქალი“ იყო ქ-ნი დიუ-პატი-დე-კლამი.

**ლონდონი.** გადმოცემული ამბავი, თითქო საფრანგეთსა და ინგლისს შორის შფაოდის შესახებ მოლაპარაკება წარმატებით გვირგვინდებაო, უდროულია.

**ქაირი.** კიჩტნერი დაბრუნდა ომდურმანს, ხოლო ფაშგოსა და სობატეში დარაჯები დასტოვა. დერვიშების გემთან შეტაკების გამო, რომელიც შეპყრობილია, ომი არ ყოფილა.

**პარიზი.** კრება, რომელიც გაართეს პატრიოტულმა კომიტეტებმა დერულედის თავმჯდომარეობით, გაიხსნა 2 საათს 20 წუთს; მიღებულ იქმნა დიდი ზომები წესრიგის დასაცველად. დერულედმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ცხარედ მოიხსენია ბრისონი. მან სთქვა: ფრანგები უნდა გავანაწილოთ არა სარწმუნოების მიხედვით, არამედ აზროვნობის მიმართულებითაო. „არის დრეიფუსარები და ფრანგებიო“. დერულედი იმ ბრალსა სდებს ბრისონს, რომ მას გადასინჯვა სურს, მიუხედავად იურისტების აზრებისა, საფრანგეთს მხარს უქცევს, დროშას ჰღალატობსო. „იმ პირთ, რომელნიც ჯარს ცუდად იხსენიებენ, ავიწყდებათ, რომ არ არის სამშობლო უჯაროდ. დამნაშავეა თუ არა დრეიფუსი, ეს სხვა კითხვაა, ხოლო საფრანგეთი კი დამნაშავეა, და იგი უნდა დავიცვათ მტრების წინააღმდეგ“. დერულედი ამთავრებს თავის სიტყვას. მოქალაქეთა მოწოდებით, შეერთდით და შესცვალეთ „პატრიოტთა ლიგათ“. კრებამ მიიღო განაჩენი „პატრიოტთა ლიგის“ შეცვლის შესახებ.

**პარიზი.** დრიუმონის გაზეთი: Libre Parose“ იუწყება, რომ ესტერგაზმა შაუნეს წერილი გაუგზავნა, რომელშიაც წინააღმდეგობას აცხადებს, „Obsever“-ში გამოქვეყნებულ ცნობების შესახებ.

## ნიხრი,

დამტკიცებული 12 აგვისტოს

| | | | |
|---|---|---|---|
| ძროხის ხორცი | 1 ხარისხ. | 7 | კ. |
| სუკი გირვანქა | „ „ | 12 | კ. |
| ცხვრის ხორცი | „ „ | 8 | კ. |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Сентября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია